



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #50

თებერვალი, 2016

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ეროვნული  
კიბეროლიმპიადისთვის მონაწილეთა განაცხადების  
მიღებას იწყებს

1 „მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტო“  
კიბეროლიმპიადის  
თვის  
მონაწილეთა  
განაცხადების  
მიღებას იწყებს

1



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად იწყებს ეროვნულ კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღებას. კიბეროლიმპიადის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროს განავითარების ხელშეწყობა და პუპულარიზაცია, ასევე იმ პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

2 ერთიანი სავაჭრო  
ქსელის  
საკოორდინაციო  
კომიტეტის  
მორიგი სხდომა  
გაიმართა

2

3 სემინარი  
ელექტრონული  
ჩართულობის  
თემაზე

3

3 მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტოს ახალი  
სასწავლო კურსის  
მსმენელებს  
სერტიფიკატები  
გადაეცათ

3

კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია კიბერსაკითხებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც არ შესრულებია 25 წელი. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა ჩამოაყალიბონ მინიმუმ 3 წევრისგან შემდგარი გუნდი და წარმოადგინონ შესაბამისი განაცხადი.

4 მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტოს  
წარმომადგენლებს  
ის ვიზიტი  
ტურინში

4

ეროვნულ კიბეროლიმპიადაზე დაისმება კიბერუსაფრთხოების გავრცელებული შეტევების ვექტორების ამოცანები, რომელთა გადაჭრაშიც ერთმანეთს გუნდებად დაყოფილი სტუდენტები შეეჯიბრებიან.

4 საჯარო  
რეესტრის  
ელექტრონული  
რუკები  
ყველასთვის  
ხელმისაწვდომია

4

ოლიმპიადის მონაწილეები სხვადასხვა კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოს შედეგად გააანალიზებენ და გამოიკვლევენ 5 განსხვავებულ შემთხვევას და უპასუხებენ 50 შეკითხვას (თითოეული შემთხვევის ირგვლივ სხვადასხვა სირთულისა და წონის 10 შეკითხვა), მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით კი დაითვლება საბოლოო სტატისტიკა. ეროვნული კიბეროლიმპიადის ხანგრძლივობაა 1 დღე (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიბეროლიმპიადის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორც კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, ურთიერთშეჯიბრის პირობებში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ გამოცდილება“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ეროვნული კიბეროლიმპიადა გაიმართება 2016 წლის 26 აპრილს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 6 აპრილი.

შემოსული განაცხადების საფუძველზე სპეციალური ჟიურის მიერ შეირჩევა 50 გუნდი.

დაინტერესებულ ახალგაზრდებს დამატებითი ინფორმაციისა და კიბეროლიმპიადაზე რეგისტრაციისთვის შეუძლიათ მიმართონ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფს (CERT.GOV.GE). ტელ.: 291 51 40; ელ.ფოსტა: [olimpiada@dea.gov.ge](mailto:olimpiada@dea.gov.ge); ვებგვერდი: [www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); FB გვერდი: <https://www.facebook.com/certgovge>

ღონისძიების პარტნიორები არიან: „ინტელი“ (Intel), „მაიკროსოფტი“ (Microsoft), „ეიჩ პი“ (HP), „მაგთი“, „ორიენტ ლოჯიკი“, „იუ ჯი თი“ (UGT), „სოფტ ლაინი“, „აი ეს ეს პი“ (ISSP), „სისკო“ (Cisco), ასოციაცია „გრენა“, „ICT ბიზნეს საბჭო“.

## ერთიანი სავაჭრო ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, **თეა წულუკიანის** ხელმძღვანელობით ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვებისა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ იმსჯელეს.

ერთიანი სავაჭრო ქსელი (TFS) არის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში ჩართულ რგოლებს შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად გაცვლის სისტემა, რომელიც სავაჭრო ოპერაციების მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, საერთო ვებპორტალის მეშვეობით ონლაინ რეჟიმში აწარმოონ ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია საქართველოში და/ან საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვასთან.

სისტემის მომხმარებლები დაზოგავენ როგორც ფინანსურ რესურსებს, ისე დროს, ხოლო ერთიანი სავაჭრო ქსელის ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

ერთიანი სავაჭრო ქსელი ყოველწლიურად ჩაანაცვლებს 1 მილიონ ქაღალდის დოკუმენტს, ვაჭრობისა და ლოგისტიკის სფეროში მოქმედი ბიზნესებისთვის კი მოსალოდნელი წლიური დანაზოგი 4.5 მილიონი დოლარი იქნება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტზე აქტიურად მუშაობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები, გადაზიდვათა კომპანიები, საბაჟო ტერმინალები, რკინიგზა, ექსპედიტორები და სხვა სუბიექტები.

პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საზღვაო გადაზიდვების საშუალებით კონტეინერების იმპორტ/ექსპორტის პროცესების თანმდევი ინფორმაციის ავტომატურად მიმოცვლას, რაც ამცირებს ვაჭრობისა და გადაზიდვისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო ხარჯებსა და დროს. შესაბამისად მცირდება პროცედურების რაოდენობა და ჩქარდება ლოგისტიკისა და ტვირთის განზაფხების პროცესი. პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

## სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“ ელექტრონული ჩართულობის თემისადმი მიძღვნილი სემინარი გაიმართა



სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის ორგანიზებით ელექტრონული ჩართულობის თემაზე გაიმართა სემინარი - „როგორ გავაუმჯობესოთ გამჭვირვალე და ჩართულობაზე ორიენტირებული საჯარო მმართველობა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით“.

სემინარზე განიხილეს შემდეგი თემები: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელების პროცესში; საქართველოში გამჭვირვალე და ჩართულობაზე დაფუძნებული საჯარო მმართველობის გაძლიერებისთვის ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომლის მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე ელექტრონული ჩართულობის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გზამკვლევის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროებისა და სააგენტოების თანამშრომლებმა, ანტიკორუფციული და ღია მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფის შესაბამისმა წევრებმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ახალი სასწავლო კურსის მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცათ



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სატრენინგო კურსის "ორგანიზაცია და მართვის სისტემები" მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცათ. აღნიშნული კურსი სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს მიერ შემუშავდა და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების პროპულარობისა და ცნობიერების ამაღლებას.

სასწავლო კურსი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან მიმართულებას - ორგანიზაციაში მართვის სრულყოფილი სისტემების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას ეძღვნებოდა და დამწყებ პროფესიონალებს საშუალება მისცა მიეღოთ

ინფორმაცია თუ რა როლი ენიჭებათ მართვის სისტემებს ორგანიზაციის მართვაში და, კერძოდ, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

გარდა ამისა, კურსის გავლით მსმენელებმა გამოიმუშავეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შემდეგი მიმართულებებით: ორგანიზაცია და ორგანიზაციული კონტექსტის ანალიზი, მმართველობა და მართვა, პროცესის რაობა, ტექნოლოგიები და ინფორმაციული სისტემები, ორგანიზაციის განვითარების დონეები, მუდმივი გაუმჯობესება, როლები და პასუხისმგებლობები, რესურსები, კომუნიკაცია, დოკუმენტაცია, მართვის სისტემები და მათი დანიშნულება.

სრული კურსი მოიცავდა 6 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებული იყო ერთი 2-3 საათიანი ლექცია.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი ტურინში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები - ნიკოლოზ გაგნიძე, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი, ირაკლი ლომიძე, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი და დავით ათაბეგაშვილი, ფინანსური სამმართველოს მიმდინარე წლის 14-20 თებერვალს სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ იტალიაში, ქ. ტურინში.

აღნიშნული სასწავლო ვიზიტი შედგა ევროკავშირის დამძობილების პროექტის - “ელ. მმართველობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში II” ფარგლებში.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებს საინფორმაციო სისტემების კონსორციუმის (CSI- Piemonte) წარმომადგენლებმა გაუზიარეს იტალიის გამოცდილება ელ-მმართველობისა და მისი კომპონენტების, ელექტრონული სერვისების, კიბერუსაფრთხოების მართვისა და ღია მმართველობის მიმართულებით.

## საჯარო რეესტრის ელექტრონული რუკები ყველასთვის ხელმისაწვდომია



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული რუკები ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. რეესტრის ვებგვერდზე [napr.gov.ge](http://napr.gov.ge) განთავსებული სხვადასხვა ციფრული რუკა მომხმარებლებს - მოქალაქეებსა თუ დარგის სპეციალისტებს მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობს.

ელექტრონული საკადასტრო რუკაზე დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, სრულიად უფასოდ, ინტერნეტით დაათვალიერონ მათთვის სასურველი ტერიტორია, გაეცნონ მის ადგილმდებარეობასა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციას. რუკა აღჭურვილია მიწის სხვადასხვა პარამეტრით, შესაბამისად, მისი მიწის ნაკვეთის ძებნა შესაძლებელია რეგიონის, ადგილმდებარეობისა და

საკადასტრო კოდის მიხედვით. მიწის პარალელურად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საკადასტრო რუკაზე შეარჩიონ მათთვის საინტერესო მონაკვეთი, გადაიხადონ შესაბამისი საფასური და ჩამოტვირთონ სასურველი ამონარიდი.

ამას გარდა, სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია სხვადასხვა მასშტაბის ძველი ტოპოგრაფიული რუკები და, ასევე, ქალაქ სიღნაღისა და ფოთის ინტერაქტიული რუკები. ინტერაქტიული რუკების შექმნის პროცესში საჯარო რეესტრის სპეციალისტებმა ქალაქებში სხვადასხვა ობიექტის აღწერა და ფოტოების გადაღება განახორციელეს. ყველა მათგანი რუკაზეა დატანილი. დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, მარტივად და სწრაფად მოიძიონ მოსანახულებელი ადგილები, ქუჩები, სასტუმროები, საკვები, დასასვენებელი და კულტურული ობიექტები, ბანკები და ბანკომატები, მუზეუმები, ეკლესია-მონასტრები, საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურების დაწესებულებები, მიწის ნაკვეთები. თითოეულ ობიექტს თან ერთვის ფოტოგალერეა და სრულყოფილი სასარგებლო ინფორმაცია, მისამართები, გეოგრაფიული კოორდინატები და ა.შ.

ინტერაქტიული რუკის ინსტრუმენტებით ასევე შესაძლებელია სივრცითი ანალიზი, ობიექტებს შორის მანძილის განსაზღვრა, კონკრეტულ ადგილთან მიახლოება ან დაშორება (ზუმირება), რუკის საინტერესო ფრანგმენტების დაბეჭდვა. ინტერაქტიული რუკები ორენოვანია და სასარგებლოა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის (გაგრძელება გვ. 5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) აღსანიშნავია, რომ ციფრული რუკების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საჯარო რეესტრმა პორტალი maps.napr.gov.ge შექმნა. პორტალი, რომელზეც მონაცემები მთელი საქართველოს მასშტაბითაა დატანილი, მძლავრი საძიებო შესაძლებლობებითაა აღჭურვილი: მომხმარებელს სპეციალური მენიუსა და მისი კომპონენტების მანიპულაციით თავად შეუძლია რუკის სასურველი ტიპის შერჩევა. პორტალის დახმარებით შესაძლებელია ქუჩებისა და მისამართების, საკადასტრო მონაცემების, ზედაპირული საფარის სიმალღური მოდელისა და აეროფოტოგადაღების შედეგად მიღებული ორთოფოტოების მოძიება. შემეცნებით პორტალზე maps.napr.gov.ge მუშაობა და მისი განვითარება მუდმივი პროცესია. თანდათან მისი არსებული ფუნქციები იხვეწება და ახალი შესაძლებლობებიც ჩნდება.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ